

ქალაქი, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაერთს უშიშროების საბჭოს
რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების
საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა



სამოქმედო გეგმა მომზადდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით პროექტის „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერაა დაფინანსებული.



სარჩევი

შესავალი.....	4
სიტუაციის ანალიზი.....	8
სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები.....	15
ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების,მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.....	19

1. შესავალი

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მის მიმდებარედ მცხოვრები, დევნილი ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვა.

აღნიშნული პრიორიტეტის ინტეგრაციის მიზნით, საქართველომ „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. ეროვნული სამოქმედო გეგმები შემუშავებულ იქნა, ასევე, 2016-2017 წლებისა და 2018-2020 წლებისათვის. ეროვნული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის ერთიან მიდგომას მიზნობრივი ჯგუფების ადამიანის უფლებების დაცვის, მათი სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ეკონომიკური გაძლიერების, მათ შორის უსაფრთხოების სექტორში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებისა და გადანყვეტილების მიღების პროცესებში, ასევე სამშვიდობო მოლაპარაკებებში და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალთა ეფექტიანი და მნიშვნელოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის გაძლიერების, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვის, პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მათი საჭიროებების გათვალისწინების, მშვიდობის მშენებლობის პროცესში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში მათი როლის გამოკვეთის თვალსაზრისით. ასევე, აღსანიშნავია, გეგმების განხორციელების და მონიტორინგის მნიშვნელობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების (WPS) დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ქვეყნის მიერ ანგარიშების პროცესში.

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ადგილზე განხორციელებული უკანონო და დესტრუქციული ქმედებები მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ, განსაკუთრებით საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალთა და გოგონათა უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის დაგეგმილი ღონისძიებები კიდევ უფრო გაძლიერდეს და ადამიანური და ფინანსური ძალისხმევა მიემართოს შესაბამისი აქტივობების ინტენსიფიკაციის მიმართულებით.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე N1325 რეზოლუცია მიღებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2000 წელს, რომელიც ხაზს უსვამს ქალების მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების, სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებისა და მშვიდობის მიღწევის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების პროცესში¹. აღნიშნულმა რეზოლუციამ და ასევე, მისმა მომდევნო რეზოლუციებმა (1820-ე (2009), 1888-ე (2009), 1889-ე (2010), 1960-ე (2011), 2016-ე (2013), 2122-ე (2013), 2242-ე (2015), 2467-ე და 2493-ე (2019) შექმნეს „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების (WPS) დღის წესრიგი, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობას გადანყვეტილების მიღების პროცესში, მათ დაცვას, საჯარო სერვისებზე შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფასა და ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციას.

1 ხელმისაწვდომია: < <http://unscr.com/en/resolutions/doc/1325> >

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მიღებული რეზოლუციები აძლიერებს არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ეროვნულ კანონმდებლობას იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების მიზნით ეროვნული სამოქმედო გეგმა აქვს გაერთიანებული ერების 98 წევრ ქვეყანას. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება მოიცავს როგორც ეკონომიკურად მაღალი განვითარების ასევე, შიდა თუ გარე კონფლიქტების მქონე ქვეყნებს მსოფლიო მასშტაბით. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საუკეთესო ეროვნული სამოქმედო გეგმა ორიენტირებული უნდა იყოს ეროვნულ კონტექსტზე, სიტუაციის ანალიზის სიღრმისეულ შესწავლაზე, ქალებისა და გოგოების მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი სპეციფიური საჭიროებების გამოვლენასა და ცხოვრების ხარისხზე ზეგავლენის მოხდენაზე, გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფაზე. დასახული მიზნების ეფექტიანად განხორციელების მიზნით საერთაშორისო გამოცდილება, ასევე მიუთითებს მისი ადგილობრივ დონეზე (ლოკალიზაციის) განხორციელების მნიშვნელობაზე².

რეზოლუციების ძირითადი დებულებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგ ფართო კატეგორიებში:

- ქალების მონაწილეობა სამშვიდობო, მშვიდობის მშენებლობასა და დაცვასთან დაკავშირებულ საჯარო გადანყვეტილებების მიღების პროცესში;
- კონფლიქტის პრევენცია გენდერული ხედვის გათვალისწინებით, ადრეული გაფრთხილების სისტემების ფუნქციონირების, განათლების მიღების, ეკონომიკური გაძლიერების, უფლებების დამრღვევთა სამართლებრივი დევნის პროცესში;
- ქალების დაცვა სათემო, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების დამცველთა მიერ კონფლიქტის დროსა და მის შემდგომ პერიოდში;
- მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ჩართულობა, მათი საჭიროებების გათვალისწინება კონფლიქტის შემდგომ აღდგენით პერიოდში, არსებულ უსამართლობასთან ბრძოლა და სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა.

საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, საქართველოს მიერ 1994 წელს რატიფიცირებული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის საფუძველზე და ამავე კონვენციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის „კონფლიქტის პრევენციაში, კონფლიქტურ და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში მყოფი ქალების შესახებ“ 30-ე ზოგადი რეკომენდაცია იძლევა მითითებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქალების უფლებათა დაცვას კონფლიქტის პერიოდში და მის შემდგომ.³

1995 წელს ქალთა საკითხებზე გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიღებულ იქნა მთავარი დოკუმენტი პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (BPFA), რომელიც გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა სხვადასხვა სფეროში. შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოს „ქალების მეტად ჩართულობა კონფლიქტის მოგვარებაში გადანყვეტილების მიღების ყველა დონეზე და დაიცვას შეიარაღებული კონფლიქტებისა და სხვა კონფლიქტურ სიტუაციებსა და უცხო ქვეყნის ოკუპაციის ქვეშ ქალები“.⁴

2 <http://1325naps.peacewomen.org/index.php/nap-overview/>

3 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტის 30-ე ზოგადი რეკომენდაცია; ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3RikvAo> >

4 პეკინის სამოქმედო პლატფორმა (BPFA), თავი II, პარა. 23, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/30FI18r> >

გარდა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებისა, წინამდებარე „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (შემდგომში ეროვნული სამოქმედო გეგმა) და მისი მიზნები და ამოცანები შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონებს გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. ასევე, 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში („ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“) განვიხილავთ პრიორიტეტებსაც თანასწორობის უფლების რეალიზებისა და გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა (2022-2024) ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG):

- მე-5 მიზანი: გენდერული თანასწორობა;
- მე-10 მიზანი: შემცირებული უთანასწორობა;
- მე-16 მიზანი: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

ეროვნული სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებისათვის მოქმედების 3 სფეროს აერთიანებს. პირველი სფერო „ქალთა მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში“ მოიცავს ქალთა, ასევე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფას გადანაცვლების მიმდებარედ დონებზე მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში; მოქმედების მე-2 სფეროს „ძალადობის აღმოფხვრა, პრევენცია“ მიზანია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებზე და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია. მოქმედების მე-3 სფერო „ქალთა გაძლიერება და დაცვა“ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების უსაფრთხოების, საჯარო სერვისებზე წვდომის, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ როგორც დარგობრივი სამინისტროები და მუნიციპალიტეტები, ისე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატი, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი სფეროების, პრიორიტეტებისა და საქმიანობების იდენტიფიცირების პროცესი წარიმართა ინკლუზიურად, შედგა სამუშაო შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში მიმდინარეობდა მსჯელობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ მცხოვრები) ქალების, გოგოებისა და ახალგაზრდების არსებულ საჭიროებებთან და პრობლემებთან დაკავშირებით. ასევე, განხილულ იქნა, მუნიციპალიტეტების როლი ადგილობრივ დონებზე სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, იდენტიფიცირდა პრობლემები და წარიმართა მსჯელობა პრობლემების მოგვარების გზებზე. სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია, უკუკავშირის მიღების მიზნით, გაზიარდა სახელმწიფო უწყებებში, არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან, დოკუმენტის საჯარო კონსულტაციებში აქტიურად ჩართული იყვნენ დევნილი, და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალები და გოგოები. რელევანტური შენიშვნები და მოსაზრებები კი თემატურად აისახა საბოლოო დოკუმენტში.

სამუშაო შეხვედრების პარალელურად, ადამიანის უფლებათა სამდივნომ შეისწავლა ქალებზე, მშვიდობაზე და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება.

ასევე, მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს მთავრობის N356 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ და საქართველოს მთავრობის N23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია“.

ეროვნული სამოქმედო გეგმები საქართველოს მთავრობის დადგენილებით მტკიცდება და განსაზღვრავს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებებისა და პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლებს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება და მიღწეული შედეგების შენარჩუნება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამართლებრივი ფასეულობებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების დაცვას გაეროს პრინციპების შესაბამისად.

ეროვნული სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების სტანდარტებთან. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სექტორულ პრიორიტეტებს, კონკრეტულ საქმიანობებს, რაც აუცილებელია მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებათა წრეს, შესრულების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს; სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა სამდივნო, როგორც მაკოორდინირებელი ორგანო.

2. სიტუაციის ანალიზი

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ მცხოვრები) ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების მშენებლობის პროცესში ეფექტიანი წარმომადგენლობის, მათი უსაფრთხოების, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებული იქნა „პრობლემის ხის“ მეთოდოლოგია. პრობლემების, გამომწვევი ფაქტორებისა და უარყოფითი შედეგების იდენტიფიცირება განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის №173 დადგენილებით დამტკიცებული „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სახალხო დამცველის ანგარიშების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული კვლევების მიგნებების და სამუშაო ჯგუფთან აქტიური დისკუსიების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის და შეხვედრების საფუძველზე იდენტიფიცირდა ქვემოთ მოცემული (მტკიცებულებებზე დაფუძნებული) პრობლემები, პრობლემების გამომწვევი ფაქტორები და უარყოფითი შედეგები, ხოლო პრობლემების გადაჭრის მიზნით შემუშავდა სამოქმედო გეგმის პროექტი.

ქალთა მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში

გაეროს უშიშროების საბჭომ №1325 რეზოლუციით არსებითი კავშირი სცნო ქალებს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას შორის და აღიარა ქალთა მნიშვნელოვანი როლი კონფლიქტების პრევენციისა და გადანწყვის, აგრეთვე, მშვიდობის აღდგენის საკითხებში, ხაზი გაუსვა რა „მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და დამკვიდრებისკენ მიმართულ ყველა ძალისხმევაში ქალთა თანასწორი მონაწილეობისა და სრულად ჩართვის მნიშვნელობას, აგრეთვე, მათი როლის გაძლიერების აუცილებლობას კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების პროცესში.“⁵ ამასთან, რეზოლუციის თანახმად, ქალების „დაცვისა და სამშვიდობო პროცესებში სრულად ჩართვის უზრუნველყოფი ეფექტიანი ორგანიზაციული მექანიზმების არსებობას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებასა და დამკვიდრებაში“ და შესაბამისად, უშიშროების საბჭო „წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და მოგვარების ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებსა თუ მექანიზმებში“⁶. შემდგომ რეზოლუციებში, რომელიც ბოლო 19 წლის განმავლობაშია მიღებული, განვრცობილია ქალთა მონაწილეობის საკითხი და განხილულია გაეროს უშიშროების საბჭოს № 1325 რეზოლუციით გათვალისწინებული სხვა ძირითადი თემები.⁷

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების შედეგების თანახმად, **კვლავაც პრობლემური რჩება ქალთა წარმომადგენლობა გადანწყვითების მიმღებ დონეზე მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში**. აღნიშნული მიმართულებით ხაზი უნდა გაესვას ქალების დაბალ წარმომადგენლობას უსაფრთხოების სექტორში, გადანწყვითების მიმღებ პოზიციებზე.


5 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 (2000), მიღებულია 2000 წლის 31 ოქტომბერს. შემდეგში S/RES/1325.

6 იქვე.

7 გაეროს უშიშროების საბჭოს შემდეგი რეზოლუციები: 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019) და 2493 (2019).

მითითებული პრობლემის მიზეზად განხილული უნდა იყოს რამდენიმე გამომწვევი ფაქტორი: საზოგადოებაში გაბატონებული გენდერული სტერეოტიპები ქალთა და მამაკაცთა პროფესიების თაობაზე; უსაფრთხოების სექტორში არასათანადოდ გენდერულად მგრძობიარე საკადრო პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პოლიტიკა, საქართველოს მთავრობის მიერ, ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების მიზნით, 2012-2015, 2016-2017 და 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმებით აღიარებული ვალდებულებების ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა ქალების წილი უსაფრთხოების სექტორში კვლავაც დაბალია⁸ (იხ. სურათი 1). აღნიშნული იწვევს ქალთა მონაწილეობის ეფექტიანობის ნაკლებობას.

სურათი 1



ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დადებითად უნდა შეფასდეს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში გენდერული თანასწორობისა ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისკენ გადადგმული ნაბიჯები, როგორებიცაა: თავდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია,⁹ მოგვიანებით კი შემუშავდა და დამტკიცდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა¹⁰. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა გენდერული თანასწორობის შიდა მექანიზმი და გენდერულ საკითხებში სამინისტროს მრჩეველი დანიშნა¹¹. ამ თანამდებობის შემოღების მიზანი გენდერული თანასწორობის დაცვა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის საქართველოს თავდაცვის სისტემაში ინტეგრირებაა.

8 ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო 2021, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გვ.81 ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3OoHEop> >
 9 თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2CrqZvL> >
 10 სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3ohuNKq> >
 11 თავდაცვის სამინისტროს გენდერის საკითხებში მრჩეველების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3PggjGm> >

საქართველოში ქალების ეფექტიანი მონაწილეობა სამშვიდობო მოლაპარაკებებში, კონფლიქტის გადაჭრასა და დაკავშირებულ პოლიტიკურ პროცესებში არ არის მაღალი. მაგალითად უენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში (GID) და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში (IPRM) ქალთა მონაწილეობა 2018-2020 წლებში 20-30% შეადგენდა.¹²

გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის მე-20 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მთავრობა შეუერთდა გაეროს წევრ ქვეყნებს, რომელთაც 2019 წლის აპრილში პირობა დადეს, რომ დააჩქარებდნენ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებას ეროვნულ დონეზე.

ქალებზე, მშვიდობას და უსაფრთხოებაზე სამოქმედო გეგმის შუალედურ ანგარიშში, სახალხო დამცველის მიერ დადებითად შეფასდა ლოკალიზაციის პროცესში ჩართული მუნიციპალიტეტების ცოდნა და მზაობა სხვადასხვა აქტივობის მიმართულებით¹³. თუმცა, გამოიკვეთა მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტებში მოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და ფუნქციის შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოხდეს ადგილობრივი საბჭოების გააქტიურების ხელშეწყობა თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

კონფლიქტით დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართულობით, უწყებებმა, რეგულარული დიალოგის მექანიზმის შესაქმნელად და მიზნობრივი პროგრამების დასაწერად, არაერთი შეხვედრა გამართეს, რომლის შედეგად გამოიკვეთა შეხვედრების რაოდენობის და მათში მონაწილე ქალების მონაწილეობის ინტენსივობის გაზრდის საჭიროება, რომ უკეთ მოხდეს მუნიციპალიტეტებისა და უწყებების სამუშაო დღის წესრიგში მათთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების გათვალისწინება.¹⁴

კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის ძალადობის აღმოფხვრა, პრევენცია

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის, დევნილი და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები) ქალები სხვადასხვა ტიპის სოციო-ეკონომიკური პრობლემებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის რისკის წინაშე დგანან.¹⁵ „საქართველოში მოსახლეობის ცხოვრებისეული გამოცდილებების“ 2016 წლის კვლევის მიხედვით, დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალები სხვადასხვა ფორმის სექსუალურ და გენდერული ნიშნით ძალადობას განიცდიან.¹⁶ (იხ. სურათი 2.)


12 სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოში WPS-ის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულება: მონიტორინგის შედეგები, 2021, გვ. 17, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3OikDnm> >

13 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

14 იქვე.

15 ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო 2021, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გვ.83 ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3OoHEop> >

16 იქვე.



წყარო: მსოფლიო ბანკი, საქართველოს მოსახლეობის გამოცდილებების კვლევა (2016)

სახალხო დამცველის მონიტორინგის ანგარიშში დადებითადაა შეფასებული 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში, უწყებების მხრიდან ძალადობის თემატიკაზე და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები. ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების მიუხედავად, კვლავ პრობლემურია საზოგადოების სტერეოტიპული შეხედულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე.¹⁷

სიტუაციის ანალიზის პროცესში გამოიკვეთა **პრობლემის გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი**: ძალადობის საკითხებზე მოსახლეობის დაბალი ცნობიერება; ოკუპაციის შედეგებით გამომწვეული სტრესული გარემო; საჯარო უწყებებთან და სამართალდამცავებთან თანამშრომლობის დაბალი ინტენსივობა, რაც შედეგად იწვევს, სტერეოტიპული მიდგომების გამყარებით, გენდერული უთანასწორობის წახალისებას.

ბოლო წლებში, უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების კუთხით, აქტიურად მიმდინარეობს უწყებებში დასაქმებულთა გადამზადება გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების/ძალადობისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების საკითხებზე¹⁸. შინაგან საქმეთა სამინისტროში გადამზადდა 12 000-ზე მეტი თანამშრომელი, ხოლო თავდაცვის სამინისტროში - 5000-მდე სამხედრო მოსამსახურე¹⁹. ამასთანავე, შემუშავებულია სხვადასხვა სასწავლო კურსი და მოდული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებსა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე²⁰. ასევე, ხაზგასასმელია ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება გადასროლის წინა მომზადებისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესში, რაც სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს ფსიქოლოგიური კონსულტაციების/თერაპიის შესაძლებლობას

17 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.9, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

18 იქვე. გვ 10

19 იქვე.

20 იქვე.

აძლევს²¹ ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულია 20 გენდერის მრჩეველი²². მიუხედავად განხორციელებული აქტივობებისა, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოხელეთა გადამზადება და ცნობიერების ამაღლება მუდმივი პროცესია და ითვალისწინებს პერმანენტულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

ქალთა გაძლიერება და დაცვა

კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის საჯარო სერვისებზე, (მათ შორის, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის სერვისებზე იურიდიულ დახმარებაზე) წვდომა კვლავ გამოწვევად რჩება. სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრატეგია²³. რიგ სოფლებში კვლავ პრობლემურია სამშობიაროებსა და კეთილმოწყობილ ამბულატორიებზე წვდომა, ექიმების არასაკმარისი რაოდენობა.²⁴ ადებითი ტენდეციაა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო რეფერალური პროგრამით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ჯანდაცვის სერვისებით უფასო მომსახურება.²⁵

ბოლო წლებში, საჯარო სერვისებზე წვდომის მიმართულებით გაზრდილია სახელმწიფო უწყებების აქტიურობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2018-2020 წლებში იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ორგანიზებული შეხვედრები კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან.²⁶ საგრძნობლად გაიზარდა უფასო იურიდიული კონსულტაციების რიცხვი - სულ 65 788 პირს გაენია კონსულტაცია, აქედან 40 888 ქალი იყო, ხოლო 24 3030 - კაცი.²⁷ ასევე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ინფორმაციის მისაწოდებლად და მოსახლეობის საჭიროებების შესასწავლად, 23 შეხვედრა გამართა დევნილ და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალებთან.²⁸ გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის ეგიდით, 2019 წელს ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების განსაზღვრის მიზნით შეხვედრები გაიმართა.²⁹ თუმცა, სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებულობა, დევნილ

21 იქვე.

22 იქვე.

23 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

24 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.11, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

25 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

26 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.10, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

27 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >


28 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

29 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.11, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

ქალებსა და გოგოებში, კვლავ დაბალი რჩება.³⁰

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების განათლების ხელმისაწვდომობისთვის, მნიშვნელოვანია შეუფერხებლად გაგრძელდეს სტუდენტების სწავლის დაფინანსების პრაქტიკა.³¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, უწყვეტად მიმდინარეობს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსება, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში.³² (იხ. სურათი 3.)

სურათი 3



30 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.11, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

31 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.11, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

32 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.12, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Pj34ow> >

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემების თანახმად, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდნენ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წელი სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს გამყოფი ხაზის მიმდებარე **სოფლებში. 2018-2019 სასწავლო წელს სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭა 199 სტუდენტს (ქალი -126, კაცი 73), ხოლო 2019-2020 სასწავლო წელს - 225 სტუდენტს (ქალი - 138, კაცი - 87).**

ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **2018-2019 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 240 სტუდენტი (ქალი - 132, კაცი - 108) და 2019-2020 სასწავლო წლისთვის - 228 სტუდენტი (ქალი - 119, კაცი - 109),** რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე, სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და სტუდენტები, რომლებიც, თავიანთ ოჯახებთან ერთად, 2008 წლის 7 აგვისტომდე მუდმივად ცხოვრობდნენ ერედვის, ქუთაის, თილვის, ახალგორის ან აჟარის მუნიციპალიტეტებში.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მიმართა 34-მა დაბრუნებულმა მიგრანტმა, მათ შორის, 29 ქალმა, რამაც პროცენტულად მთლიანი რაოდენობის 85,5% შეადგინა.³³ „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში სატრანსპორტო მომსახურებით 2018-2020 წლებში უზრუნველყოფილ იქნა 524 დევნილი, მათ შორის 263 ქალი (50.10%).³⁴ მიუხედავად აღნიშნულისა, ქალები კვლავაც პრობლემად ასახელებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებს³⁵.

აღსანიშნავია, რომ მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს საქართველოს მასშტაბით დატრენინგდა 4,124 ბენეფიციარი. გადამზადებულ ბენეფიციარებიდან 102 არის დევნილი ქალი, რაც მთლიანი რაოდენობის - 2.5%-ს შეადგენს. დატრენინგებული ბენეფიციარებიდან, დაფინანსება მიიღო 689 ბენეფიციარმა, აქედან დევნილი 44 ბენეფიციარი (6.4%), რომელთაგანაც 25 (57%) ქალია.

სიტუაციის ანალიზის შედეგად პრობლემად გამოიკვეთა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ხელმისაწვდომობა საჯარო სერვისებზე, როგორცაა ფიზიკური ან/და ჯანმრთელობის სამედიცინო სერვისები და იურიდიული დახმარება. **პრობლემების გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი იდენტიფიცირდა:** საჯარო სერვისებზე წვდომის შეფერხება ოკუპაციის გამო; საჯარო სერვისების თაობაზე ინფორმაციის ნაკლებობა ინფორმაციის საშუალებებზე წვდომის დეფიციტის გამო; საგანმანათლებლო, ეკონომიკური და კულტურული პროგრამების არასაკმარისი რაოდენობა და არსებულ პროგრამებში ჩართვაში პასიურობა. ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფითად აისახება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე.

33 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.12, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Pj34ow>

34 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.11, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Pj34ow>

35 სახალხო დამცველია სპეციალური ანგარიში, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიგნებები და რეკომენდაციები“, 2021 წ., გვ.13, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Pj34ow>

3. სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები

იდენტიფიცირებული მოქმედების სფეროების შესაბამისად და სიტუაციის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ, შემუშავდა ეროვნული სამოქმედო გეგმის კონკრეტული მიზნები და ამოცანები.

მოქმედების სფერო I: ქალთა მონაწილეობა			
<p>მიზანი 1.</p>	<p>მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში ქალთა წარმომადგენლობისა (მათ შორის, გადანყვებილების მიმღებ დონეზე) და ეფექტიანი მონაწილეობის გაზრდა</p>	<p>მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:</p>	<p>მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 10: შემცირდეს უთანასწორობა, გაიზარდოს განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.</p>
<p>გავლენის ინდიკატორ(ებ)ი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით უზრუნველყოფილია ქალთა გაზრდილი წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის მდგრადობა</p>	<p>საბაზისო - 2021 წელი სამიზნე - 2024 წელი</p>	<p>დადასტურების წყარო</p> <p>დადასტურების წყარო სახელმწიფო უწყებების 20%-ს დანერგილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები</p>	<p>სახელმწიფო უწყებების 40%-ს დანერგილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები</p>

ამოცანა 1.1.		ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარება		
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1	გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მყოფ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი 33%; საქართველოს შს სამინისტრო 17.3%;	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი: 40%; საქართველოს შს სამინისტროში გაზრდილია მინიმუმ 2% -ით	საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები
რისკი	ადამიანური რესურსის ნაკლებობა			
ამოცანა 1.2.		სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ზრდა		
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1	ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში/ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში მონაწილე ქალების პროცენტული მაჩვენებელი	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		18%	30%	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშები; შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიშები.
ამოცანა 1.3.		ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარება		
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1	კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და ახლაგაზრდების განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების/განახლების/განხორციელების პროცესში ინტეგრაციის გზით.	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		0%	მინიმუმ 40%	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიშები
ამოცანა 1.4.		ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარება		
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1	კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა.	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		0%	მინიმუმ 30%	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშები;

მოქმედების სფერო II: ძალადობის აღმოფხვრა, პრევენცია

მიზანი 2.	<p>ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის (მათ შორის სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული რისკების) აღმოფხვრისა და პრევენციის ხელშეწყობა</p>	<p>მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:</p>		<p>მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 10: შემცირდეს უთანასწორობა, გაიზარდოს განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.</p>
გავლენის ინდიკატორ(ებ)ი	<p>შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ხორციელდება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებზე და გოგონებზე ძალადობის (მათ შორის სექსუალური ძალადობის) შემთხვევების იდენტიფიცირება, შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებით</p>	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		არ არსებობს	შემუშავებული და დანერგილია იდენტიფიცირების ინსტრუმენტი	შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები
ამოცანა 2.1.	კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოების“ საკითხებზე			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	<p>კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგონების ინფორმირების დონე „ადამიანის უსაფრთხოების“ საკითხებზე</p>	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		0%	40%	გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა „ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო“; სახალხო დამცველის ანგარიშები
რისკი	ოკუპაციის თანმდევი რისკები			

ამოცანა 2.2.		კონფლიქტისა და მის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა		
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1.	სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირების საკითხებზე გადამზადებული უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
	20%	60%	შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები; საქართველოს პროკურატურის ანგარიშები; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშები.	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2.	გადამზადებული გენდერული მრჩევლებისა და სამხედროების (მათ შორის სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო პერსონალის) პროცენტული მაჩვენებელი	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
	20%	60%	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშები	

მოქმედების სფერო III: ქალთა გაძლიერება და დაცვა				
მიზანი 3.	კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების და გოგოების საჯარო სერვისებზე მისაწვდომობის გაზრდა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება	მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 10: შემცირდეს უთანასწორობა, გაიზარდოს განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.	
გავლენის ინდიკატორ(ებ)ი	სახელმწიფო სერვისებით და პროგრამებით სარგებლობის შედეგად გაძლიერებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და გოგოები	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
	არ არსებობს		სერვისებით მოსარგებლე ქალებისა და გოგოების მინიმუმ 30% -ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებული.	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები

ამოცანა 3.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოებისთვის ჯანმრთელობის, იურიდიულ და სამოქალაქო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1.	სახელმწიფო უფასო იურიდიული მომსახურებით მოსარგებლე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		ქალი 5.9%;	ქალი 11.8%;	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები
რისკი	სერვისებზე წვდომის შეფერხება ოკუპაციის თანმდევი რისკების გამო			
ამოცანა 3.2 კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) მცხოვრები ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეცნიერო პროგრამებში ჩართულობის გაზრდა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1.	პროფესიული განათლების, სახელოვნებო, მეწარმეობის განვითარების პროგრამებით მოსარგებლე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების მაჩვენებელი	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		პროგრამებით მოსარგებლე 42% ქალი	პროგრამებით მოსარგებლე 50% ქალი	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2	ეკონომიკურ/ სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამებში და სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		45%	50%	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.3.	კულტურული და სპორტული პროგრამებით მოსარგებლე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		0%	50%	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ანგარიშები
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.4	გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ჩართულობის პროცენტული მაჩვენებლის ზრდა	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო
		არ არსებობს	მინიმუმ 30%	წინამდებარე გეგმის შესრულების ანგარიშები

4. ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნები, ამოცანები და აქტივობები განხორციელდება აქტივობებზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, ამავე გეგმაში აღნიშნული ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით. განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტი, ჯამში შეადგენს 27 680 907 ლარს.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს, გარდა ამისა, კომისიის კომპეტენციაში შედის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება

(გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულების მე-4 მუხლი, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებით). ამავე დადგენილებით განსაზღვრულია კომისიის შემადგენლობა და შეკრების პერიოდულობა.

აღნიშნული კომისია, ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს და ანგარიშის მოსამზადებელ სამუშაოებს უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მეშვეობით.³⁶

ადამიანის უფლებათა სამდივნო, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობას, იმპლემენტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვას, საჭიროების შემთხვევაში, გეგმაში ცვლილებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას და კომისიისთვის წარდგენას.

სამდივნო უზრუნველყოფს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებში რეგულარულად დამუშავდება ინფორმაცია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების თაობაზე. მონიტორინგის ანგარიში, დაინერგება პასუხისმგებელი უწყებების მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად, მოხდება აქტივობების განხორციელების შესახებ უახლესი ინფორმაციის დამუშავება პროგრესანგარიშის სახით, გეგმის მოქმედების პერიოდისთვის ყოველ 6 თვეში ერთხელ.

ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე არსებულ პროგრესთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიმღებ პირთა და დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებისათვის, ასევე ფართო საზოგადოების ცოდნის ასამაღლებლად მომზადდება წლიური ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდება ადამიანის უფლებათა სამდივნოს ოფიციალურ ვებ. გვერდზე. www.myrights.gov.ge

ეროვნული სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის ამონურვის შემდგომ მოხდება დასრულებული სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და შედეგების სისტემური და ობიექტური შეფასება, რათა მოხდეს სამოქმედო გეგმის შედეგების და მიღწევების დეტალური შესწავლა და გავლენის დადგენა. ასევე, ანგარიშვალდებულების საფუძვლის შექმნა, მათ შორის, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

36 https://www.old.gov.ge/files/493_76404_527545_459.pdf

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების კალენდარი

#	ანგარიშის ტიპი	ანგარიშის შემუშავების პერიოდი	სავალდებულობა	საფუძველი	ანგარიშის გამოქვეყნების ვადა	შინაარსი
1	2022 წლის წლიური ანგარიში	1 წელი	დიახ	სტატუსანგარიშები (ამოცანებისა და აქტივობების დონე)	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 კალენდარული დღე	ამოცანები; აქტივობები
2	2023 წლის პროგრესანგარიში	6 თვე	დიახ	სტატუსანგარიშები (აქტივობების დონე)	გამოქვეყნების გარეშე	აქტივობები
4	2023 წლის წლიური ანგარიში	1 წელი	დიახ	სტატუსანგარიშები (ამოცანებისა და აქტივობების დონე)	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 კალენდარული დღე	ამოცანები; აქტივობები
5	2024 წლის პროგრესანგარიში	6 თვე	დიახ	სტატუსანგარიშები (აქტივობების დონე)	გამოქვეყნების გარეშე	აქტივობები
6	2024 წლის წლიური ანგარიში	1 წელი	დიახ	სტატუსანგარიშები (ამოცანებისა და აქტივობების დონე)	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 კალენდარული დღე	ამოცანები; აქტივობები
შეფასება		2025 წელი		საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვისა		

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა

მოქმედების სფერო I: ქალთა მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში

<p align="center">მიზანი 1.</p>	<p align="center">მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში ქალთა (მათ შორის გადანაცველების მიმღებ დონეზე), წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ამაღლება</p>	<p>მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:</p> <p>მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 10: შემცირდეს უთანასწორობა, გაიზარდოს განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულები და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.</p>								
<p>გავლენის ინდიკატორ(ებ)ი</p>	<p>ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით უზრუნველყოფილია ქალთა გაზრდილი წარმომომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის მდგრადობა</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>საბაზისო - 2021 წელი</th> <th>სამიზნე - 2024 წელი</th> <th>დადასტურების წყარო</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>მაჩვენებელი</td> <td>სახელმწიფო უწყებების 20%-ს დანერგილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები</td> <td>სახელმწიფო უწყებების 40%-ს დანერგილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები</td> <td>საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები</td> </tr> </tbody> </table>		საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო	მაჩვენებელი	სახელმწიფო უწყებების 20%-ს დანერგილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები	სახელმწიფო უწყებების 40%-ს დანერგილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები	საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები
	საბაზისო - 2021 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო							
მაჩვენებელი	სახელმწიფო უწყებების 20%-ს დანერგილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები	სახელმწიფო უწყებების 40%-ს დანერგილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები	საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები							

ამოცანა 1.1.		ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარება									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1	გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მყოფ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით		საბაზისო - 2017 წელი	სამიზნე - 2024 წელი	დადასტურების წყარო						
		მაჩვენებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 33%; საქართველოს შს სამინისტრო 17.3%;	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: 40%; საქართველოს შს სამინისტროში გაზრდილია მინიმუმ 2%-ით	საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები						
რისკი	ადამიანური რესურსის ნაკლებობა										
აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	ვადები	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო				
							სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							თანხა	კოდი	თანხა	ორგანიზაცია	
1.1.1. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება	1.1.1.1. სქესის ნიშნით დამუშავებული სეგრეგირებული მონაცემები (მათ შორის, რანგი, წოდება, კლასი, პოზიცია) დამუშავება წარმოებს ოთხ სახელმწიფო უწყებაში	1.საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიში; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში; 3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში; 4. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიში..	1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; 4. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		2024 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი					
1.1.2. ქალებისა და კაცების რეკრუტირების, კარიერული განვითარებისა და შენარჩუნების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება/განახლება	1.1.2.1. ადამიანური რესურსების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია	1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიში; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში; 3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში;	1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;	1. გაეროს ქალთა ორგანიზაცია	2024 წლის IV კვარტალი	15 000			15 000	გაეროს ქალთა ორგანიზაცია	

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადები	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო				
							სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							თანხა	კოდი	თანხა	ორგანიზაცია	
1.1.3. უსაფრთხოების სექტორისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ თანამშრომლების კარიერული განვითარების პროგრამებში (ტრენინგები, გაცვლითი ვიზიტები და სხვა) სეგრეგირებული მონაცემების წარმოება	1.1.3.1. საქართველოში გავლილი პროგრამების კურსდა-მთავრებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები წარმოებს 1.1.3.2. საქართველოს ფარგლებს გარეთ გავლილი პროგრამების კურსდამთავრებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები წარმოებს	1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიში; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში; 3. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში; 4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში	1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 3.სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო		2024 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი					
